XI ყოველწლიური სტუდენტური კონფერენცია „ანტიკურობის თანამედროვეობა“

თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო წრე/ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სტუდენტური კლუბი ატარებს XI ყოველწლიურ სტუდენტურ კონფერენციას - „ანტიკურობის თანამედროვეობა“, რომელიც გაიმართება **2025 წლის 14-16 მაისს**, ჰიბრიდულ ფორმატში (აუდიტორიასა და პლატფორმა ZOOM-ის საშუალებით). კონფერენცია ეძღვნება ცნობილი ქართველი მეცნიერის, თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დამაარსებლის, თსუ ემერიტუსი პროფესორის, აკადემიკოს რისმაგ გორდეზიანის დაბადებიდან 85-ე წლისთავს.

კონფერენციას კვლავ ექნება საერთაშორისო ფორმატი და მასში მონაწილეობის მიღებას შეძლებენ არა მხოლოდ საქართველოს ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამივე საფეხურის სტუდენტები, არამედ სტუდენტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

კონფერენცია მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ფილოლოგია, ფილოსოფია, ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, ხელოვნება, კულტუროლოგია და სხვ. კონფერენციის საგანგებო სექციები დაეთმობა ბერძნულ-რომაული ფილოლოგიისა და ანტიკური კულტურის აქტუალურ საკითხებს.

კონფერენციის რეგლამენტი:
მოხსენება - 20 წუთი; დისკუსია - 10 წუთი.

კონფერენციის სამუშაო ენები:
ქართული და ინგლისური.

წარმოდგენილ თეზისებს თან უნდა ახლდეს სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაცია.

გთხოვთ, მონაწილეობის მსურველებმა **2025 წლის 31 მარტამდე** გააგზავნოთ თეზისები და ხელმძღვანელის რეკომენდაცია ელექტრონულ მისამართზე: greekstudies@tsu.ge. თეზისები განსახილველად გადაეცემა კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტს. მოხსენების პროგრამაში ჩართვის თაობაზე გეცნობებათ **თეზისების გაგზავნიდან ერთი კვირის ვადაში.**

კონფერენციის დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცემათ ღონისძიებაში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი. შერჩეული მოხსენებები გამოქვეყნდება სტუდენტურ პერიოდულ კრებულში „მნემოსინე“.

თეზისების გაფორმების წესი:
თავფურცელი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
მოხსენების სათაური, უნივერსიტეტი, ქალაქი, ქვეყანა, ფაკულტეტი, კურსი (სწავლების საფეხურის მითითებით);
მოხსენების ენა და ფორმატი;
სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელი და გვარი;
ფონტი: Sylfaen, ფონტის ზომა: 12, ინტერვალი: 1,5
თეზისების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 250-300 სიტყვას.